განკარგულება:**g-31. 31242086**
თარიღი:**26/07/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №40

2024 წლის 26 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 119-ე მუხლის მე-10 ნაწილის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ნიგვზიანში საბავშო ბაღის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მასალის (რომლის განკარგვა არ განხორციელდა, 2024 წლის 15 მაისს განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (განაცხადის N 74050IOM98473624; აუქციონის N 74050; ლოტის N 984736) შედეგად) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური 8 990 (რვაათას ცხრაასოთხმოცდაათი) ლარი შემცირდეს 70%-ით და საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 2 697 (ორიათას ექვსას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი, დანართი N 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს შეცვლილი საპრივატიზებო საფასურის 10 %-ის - 269,70 (ორას სამოცდაცხრა ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N 26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1

ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ნიგვზიანში საბავშო ბაღის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მასალა

N	ქონების დასახელება	ქონების ადგილმდებარეობა	ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	ერთეულის საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი) 100%	შემცირებული საპრივატიზებო საფასური (ლარი) 30 %	შენიშვნა
1	მეორადი კოჭი და ფიცარი	სოფელი ნიგვზიანი	კუბური მეტრი	5	250	1250	375	
2	შეშა	სოფელი ნიგვზიანი	კუბური მეტრი	3	80	240	72	
3	მეორადი მრგვალი ხის მასალა	სოფელი ნიგვზიანი	კუბური მეტრი	7	300	2100	630	
4	თუნუქის ფურცელი (4,1 X1,5)	სოფელი ნიგვზიანი	ცალი	14	80	1120	336	
5	ჯართი	სოფელი ნიგვზიანი	კილოგრამი	500	1 კგ. 0,30	150	45	
6	მეტალოპლასმასის კარ-ფანჯარა (1,3 X 1,9)	სოფელი ნიგვზიანი	ცალი	5	170	850	255	

7	მეტალოპლასმასის ვიტრაჟი ორი მინით (3,7 X 1,25)	სოფელი ნიგვზიანი	ცალი	1	330	330	99	
8	მეტალოპლასმასის ფანჯარა (1,85 X 0,9)	სოფელი ნიგვზიანი	ცალი	7	120	840	252	
9	მეტალოპლასმასის კარი მინით (2,1 X 0,9)	სოფელი ნიგვზიანი	ცალი	1	130	130	39	
10	მეტალოპლასმასის კარი (2,1 X 0,9)	სოფელი ნიგვზიანი	ცალი	3	100	300	90	
11	მეტალოპლასმასის ვიტრაჟი კარით (3,7 X 1,9)	სოფელი ნიგვზიანი	ცალი	2	500	1000	300	
12	მეტალოპლასმასის ვიტრაჟი ყრუ (3,7 X 1,3)	სოფელი ნიგვზიანი	ცალი	2	340	680	204	
13	**სულ ჯამი**			**2 697**				